**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020385732914917

**ქ. თბილისი**
19 / ოქტომბერი /
2017 წ.

N80-ს

## სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის № 1-1/642 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თანდართული წესი (დანართი№1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 13 ოქტომბრის №78-ს ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

**საფუძველი**: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 13 ოქტომბრის №78-ს ბრძანება.

ხელმძღვანელი — გიორგი ჩოგოვაძე

დამტკიცებულია
საქართველოს ტურიზმის ეროვნული დმინისტრაციის
ხელმძღვანელის 2017 წლის __ოქტომბრის N__ ბრძანებით

**დანართი N1**

# სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. ეს წესი შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში (შემდგომში – „ადმინისტრაცია") ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (შემდგომში - „კონკურსი") ჩატარების წესსა და ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესს.

2. ამ წესის მიზნებისთვის, კონკურსი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან.

3. ამ წესის მიზნებისთვის, ვაკანტური თანამდებობა არის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობა. თანამდებობა ვაკანტურად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ:

ა) ამ თანამდებობაზე დანიშნულია მოვალეობის შემსრულებელი;
ბ) არსებობს თანამდებობის ვაკანტურად გამოცხადების დადასტურებული საფუძველი.

**მუხლი 2. კონკურსის ამოცანები და ჩატარების პრინციპები**

1. კონკურსის ამოცანებია:
ა) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება;
დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

2. კონკურსის პრინციპები ეფუძნება: კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, გამჭვირვალობისა და ღიაობის და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ სხვა პრინციპებს.

**მუხლი 3. საკონკურსო კომისის შემადგენლობა**

1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საჯარო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი კომისია (შემდგომში - „კომისია"). კომისია იქმნება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

3. კომისიის წევრებს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ პროფესიული კავშირის წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დამოუკიდებელი სპეციალისტები (პირები, რომლებიც სამსახურებრივად არ არიან დაკავშირებულნი ადმინისტრაციასთან), ადამიანური რესურსების მართვისათვის პასუხისმგებელი პირ(ებ)ი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდნენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსები და/ან სხვა დასაქმებულები, შესაბამისი საჭიროების გათვალისწინებით.

6. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

7. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას კომისიის სამდივნო.

8. კომისიას ჰყავს კომისიის მდივანი, რომელიც არ შედის კომისიის შემადგენლობაში.

9. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.

**მუხლი 4. კომისიის წევრის აცილება**

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე, წინასწარ, განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების შეფასებასა და კანდიდატების მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ და აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ და კომისიის წევრი ადმინისტრაციაში დასაქმებულია, მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

**მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება**

1. საჯარო კონკურსს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ადმინისტრაცია აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) საშუალებით.

2. კონკურსი ცხადდება, მხოლოდ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ ათი სამუშაო დღე, კონკურსის გამოცხადების დღიდან.

4. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) შესაბამისი საჯარო დაწესებულების დასახელებას;
ბ) კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობის დასახელებას;
გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
დ) შესასრულებელ სამუშაოს;
ე) ინფორმაციას თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
ვ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;
ზ) ინფორმაციას კანდიდატის შეფასების ფორმის შესახებ;
თ) შესაბამისი საკონკურსო კომისიის მისამართს;
ი) ღია და დახურული კონკურსის ეტაპებს;
კ) კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას;
ლ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმას, ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
მ) კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შერჩეული კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნამდე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას.

5. კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, კონკურსის შესახებ შეტყობინებაში აისახოს სხვა ინფორმაციაც.

**მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები**

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ადმინისტრაციის თანამშრომელს უფლება აქვს კონკურსში მონაწილეობა მიიღოს საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

**მუხლი 7. კონკურსის ეტაპები**

1. კონკურსს ატარებს კომისია.

2. კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

2. განცხადების გადარჩევას (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება) უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, ან კომისიის დავალებით - ადმინისტრაციის ადამიანური

რესურსების მართვისთვის პასუხისმგებელი პირ(ებ)ი ან სამდივნო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც დასტურდება კომისიის სხდომის ოქმით და კომისიის წევრების ხელმოწერით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანდიდატის შეფასება ხდება ზეპირი ან/და წერილობითი დავალების და გასაუბრების შედეგად.

5. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატი, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე ინდივიდუალურად ფასდება.

6. კომისიის წევრები გასაუბრების ეტაპზე თითოეული კანდიდატის შესახებ ინდივიდუალურად ავსებენ „გასაუბრებაზე კანდიდატთა შეფასების ფორმას" და „კანდიდატის ზეპირი ან წერილობითი დავალების შეფასების ფორმას" წინამდებარე წესის დანართი №1-ის და №2-ის შესაბამისად.

7. „კანდიდატის ზეპირი ან წერილობითი დავალების შეფასების ფორმის" უნარჩვევების ცხრილით გათვალისწინებული კომპეტენციები დგინდება კომისიის ოქმით, ყველა ცალკეული კონკურსისთვის, კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის აუცილებელი უნარჩვევების და დავალების შინაარსიდან გამომდინარე.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპებზე კანდიდატების მიერ მიღებული ქულები ჯამდება „კანდიდატთა შეფასების ჯამურ ფორმაში" წინამდებარე წესის დანართი №3-ის შესაბამისად.

8. კონკურსის პროგრამას, ეტაპებს, პირობებს, შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.

**მუხლი 8. კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენის მიზნით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემით, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული შემადგენლობით.

4. კონკურსის ყველა ეტაპის დასრულების შემდეგ, კანდიდატების დაუსწრებლად, კომისია სხდომაზე განიხილავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში კომისია ისმენს ადმისტრაციის ხელმძღვანელის აზრს და გამოაქვს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია იყენებს „კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმაში" არსებულ მონაცემებს.
6. კანდიდატის წარმატებულად მიჩნევისათვის, კომისია უფლებამოსილია კონკურსის მიმდინარეობისას, ყოველი კონკრეტული თანამდებობისათვის დაადგინოს ქულათა აუცილებელი რაოდენობა (ე.წ. „მინიმალური ზღვარი"), რომლის პროცენტული ოდენობა უნდა იყოს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 60% და არაუმეტეს 90% (ე.წ. „გამსვლელი პროცენტული ქულა").

7. კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთი უმაღლესი ქულის მქონე კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

8. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში.

10. კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობოს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს – კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის შესახებ.

11. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

12. კომისია ვალდებულია კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთი კვირის ვადაში, საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს ინფორმაცია ჩატარებული კონკურსის შესახებ: ვაკანტური თანამდებობების დასახელების, შესული განცხადებების რაოდენობის, კონკურსის ეტაპების, პროცედურების და კონკურსის შედეგების მითითებით.

**მუხლი 9. ჩაშლილი კონკურსი**

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

**მუხლი 10. კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

1. კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში
ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის ჩატარების წესის
დანართი N1

**გასაუბრებაზე კანდიდატთა შეფასების ფორმა**

| | კანდიდატის სახელი, გვარი | უნარ-ჩვევები | ქულა თითოეული უნარისთვის | ჯამური ქულა | შემფასებლის კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | პროფესიულიუნარ-ჩვევა | | | |
| | | მოტივაცია | | | |
| | | გადმოცემის უნარი (ლოგიკური აზროვნება და აზრის ნათლად გამოხატვა) | | | |

კანდიდატის უნარ-ჩვევების შეფასება უნდა მოხდეს ვაკანტური თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებაში.

1-2 მიუღებელი; 3-4 საშუალოზე დაბალი; 5-6 კომპეტენტური; 7-8 ძალიან კარგი; 9-10 აჭარბებს მოლოდინს;

**შენიშვნა:** კომისიის წევრის თვითაცილების ვალდებულებაა ისეთი გარემოების დადგომა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში
ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის ჩატარების წესის
დანართი N2

**კანდიდატის ზეპირი ან წერილობითი დავალების შეფასების ფორმა**

კომისიის წევრი:

| | კანდიდატის სახელი, გვარი | უნარ-ჩვევები | ქულა თითოეული უნარისთვის | ჯამური ქულა | შემფასებლის კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

კანდიდატის უნარ-ჩვევების შეფასება უნდა მოხდეს ვაკანტური თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებაში.

1-2-მიუღებელი; 3-4-საშუალოზე დაბალი; 5-6-კომპეტენტური; 7-8-ძალიან კარგი; 9-10-აჭარბებს მოლოდინს;

**შენიშვნა:** კომისიის წევრის თვითაცილების ვალდებულებაა ისეთი გარემოების დადგომა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანას."

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში
ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის ჩატარების წესის
დანართი N3

**კანდიდატთა შეფასების ჯამური ფორმა**

**თანამდებობის დასახელება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **კანიდიდატი** | | | | | |

| | კომისიის წევრი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |
| 11 | | | | | | |
| შეფასების ჯამური ქულა | | | | | | |
| საშ. არითმეტიკული | | | | | | |
| პროცენტული მაჩვენებელი | | | | | | |